# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

# ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

# აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 31 იანვარი, 2024 წელი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/17

**სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის“**

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ახალაკრედიტებულ „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის $2^1$ მუხლის მე-20 და $20^1$ პუნქტების, $4^1$ მუხლის, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 09 იანვრის MES 8 24 0000010240 გადაწყვეტილების საფუძველზე

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ხელოვნებათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, თავსებადობის დასკვნის საფუძველზე, გადაყვანილ იქნან ახალაკრედიტებულ „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებს უფლება მიეცეთ სწავლა გააგრძელონ და პროგრამა დაასრულონ არსებული სასწავლო სტრუქტურით (მოდიფიცირების გარეშე).

3. 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს პირველი, მეორე და მესამე სასწავლო წლის სტუდენტების მიერ ათვისებული სასწავლო კურსების (კრედიტების) ახალაკრედიტებულ „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დასკვნების შედგენა.

4. მოდიფიცირებული სასწავლო სტრუქტურისა და სტუდენტისათვის აღიარებული კრედიტების შესაბამისად დამატებითი სასწავლო კურსების გავლის აუცილებლობის წარმოქმნის შემთხვევაში, სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, მოხდეს დამატებითი სწავლის საფასურის გადახდის გარეშე სტუდენტთათვის სასწავლო კურსების გავლის უფლების მინიჭება.

5. წინამდებარე დადგენილების გათვალისწინებით გამოიცეს ბხსუ-ს რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

6. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ ი. ხალვაშმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ქ.ვაჩეიშვილმა.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30).

8. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**აკადემიური საბჭოს**

**თავმჯდომარე** **თ. კეჟერაძე**